

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

ტალღა IX

#HSBarometer



კურაციო
სამართაშორისო
ფონდი

წინასიტყვაობა (1)

კვლევის მიზანი

ჭანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ დარგის სპეციალისტების მოსაზრებებისა და მოლოდინების შესწავლა

საკვლევი პერიოდი

ბარომეტრის IX ტალღა აჭამებს 2017 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით
ჭანდაცვის სფეროში განხორციელებულ მოვლენებს

წინასიტყვაობა (2)

- კვლევის შედეგები ასახავს მხოლოდ აღნიშნულ კვლევაში მონაწილე სპეციალისტების მოსაზრებებს
- რეალური ტენდენციების წარმოსაჩენად რესპონდენტთა მოსაზრებები, სადაც შესაძლებელი იყო, შედარდა ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებს:
 - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) სტატისტიკური წელიწადული, 2016
 - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ოფიციალური მონაცემები ფასების და ინფლაციის შესახებ, 2017
 - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები 2017
 - მსოფლიო ბანკის მონაცემები ანგარიშიდან “სახელმწიფო დანახარტების მიმოხილვა” 2017
 - ჯანდაცვის სერვისების უტილიზაციის და დანახარტების კვლევა (HUES), 2014
 - ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები (NHA), 2015



ძირითადი მიზნები

დარბი მიღწეული ნარმატიბები

ბარომეტრის რესპონდენტები **საყოველთაო ჯანდაცვისა და C ჰეპატიტის პროგრამების** მიმდინარეობას ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვან ნარმატიბებად მესუთე ტაღლიდან მოყოლებული ასახელებენ.

მეცხრე ტაღლის რესპონდენტთა აბრით,

- ჯანდაცვის სფეროს პირველი ნარმატიბა **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებია**. კერძოდ:
 - პროგრამის დიზაინის ცვლილება - ბენეფიციარებისა და სარგებლის პაკეტის დიფერენცირება
 - უმწეო მოსახლეობისთვის განკუთვნილ სარგებლის პაკეტში ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების შეტანა

- ❖ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მედიკამენტების სუბსიდირება სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია იმ მოცემულობების გათვალისწინებით, როდესაც
 - ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში ჯიბიდან გადახდების წილი 57.3%-ია (NHA, 2015)
 - ჯიბიდან გადახდების 2/3-ს სამკურნალწამლო საშუალებებზე დახარჯული თანხები შეადგენს (HUES, 2014)
 - 2012 წლიდან 2015 წლამდე 28%-დან 34%-მდეა მომატებული იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთაც ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯი დაუდგათ. კატასტროფული დანახარჯების სიხშირის ზრდას ამ პერიოდში მედიკამენტებზე დახარჯული თანხების ზრდას უკავშირებენ (მსოფლიო ბანკი, 2017)
- ❖ სავარაუდოა, რომ 2017 წლის აპრილში გატარებული ცვლილებები უმწეო მოსახლეობას ჯანდაცვის დანახარჯების ტვირთს შეუმსუბუქებს.

ჯანდაცვის სფეროს წინაშე მდგარი გამოწვევები სპეციალისტთა აზრით

- ბარომეტრის მეცხრე ტალღის რესპონდენტების აზრით, **ხარჯთ-ეფექტურობის მიღწევა** ჯანდაცვის დაფინანსებაში და **სახელმწიფო ხარჯების მართვა/ადმინისტრირება** ჯანდაცვის სისტემის უმთავრეს გამოწვევებად რჩება.
- რესპონდენტების აზრით, დღესდღეობით ჯანდაცვის სისტემის წინაშე დგას ასევე შემდეგი გამოწვევები:
 - პირველადი ჯანდაცვის სისტემის სისუსტე
 - სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების ზრდა
 - ჯანდაცვის ზოგიერთი ვერტიკალური სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების სიმწირე
 - სამედიცინო განათლების სისტემა
 - სამედიცინო მომსახურების ხარისხი

ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები ჭანდაცვის სფეროს გამონვევებთან მიმართებაში თანხვედრაშია სხვა ოფიციალურ წყაროებში მოყვანილ შედეგებთან (1)

- ბარომეტრის რესპონდენტების მიერ დასახელებული გამონვევების დიდი ნაწილი თანხვედრაშია მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში მოყვანილ იმ ძირითად სირთულეებთან, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ჭანდაცვის სისტემა აწყდება.
- მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მოსაზრებით, ჭანდაცვის სისტემის წინაშე დგას შემდეგი გამონვევები:

1. სოც. მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების სიმცირე ეფექტურად მართოს სახელმწიფო დანახარჯები. რომელსაც ასევე, ართულებს დაფინანსების მექანიზმების კომპლექსურობა საავადმყოფოებთან სხვადასხვა ტიპის ტარიფებისა და თანა-გადახდების წესის ვარიაბელობით სხვადასხვა ჰოსპიტალური მომსახურებისთვის.

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მოსაზრებები თანხვედრაშია ბარომეტრის რესპონდენტების მიერ დასახელებულ გამონვევასთან სახელმწიფო ხარჯების მართვა/ ადმინისტრირების სისუსტესთან დაკავშირებით

2. ჭანდაცვის სერვისების მიწოდებაში არსებული ხარვეზები, კერძოდ პირველადი ჭანდაცვის სისტემის ფრაგმენტირებულობის და მიმწოდებლებში მოტივაციების არარსებობის გამო ჰოსპიტალური სერვისების ხშირი გამოყენების პრევენციის შეუძლებლობა, რომელიც პირველადი ჭანდაცვის სერვისებთან შედარებით გაცილებით ძვირადღირებულია.

ექსპერტთა მოსაზრებები თანხვედრაშია ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებებს ხარჯთეფექტურობის მიღწევისა და პირველადი ჭანდაცვის სისტემის გაძლიერების საჭიროების კუთხით

ბარომეტრის რესკონდენტთა მოსაზრებები ჭანდაცვის სფეროს გამონვევებთან მიმართებაში თანხვედრაშია სხვა ოფიციალურ წყაროებში მოყვანილ შედეგებთან (2)

ჭანდაცვის სფეროში ხარტთეფექტურობის პრინციპების მიღწევის და პირველადი ჭანდაცვის სისტემის გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

- ამბულატორიული სერვისების დაბალი უტილიზაცია - 3.5 მიმართვა ერთ სულ მოსახლეზე 2016 წლის მონაცემებით
- ჰოსპიტალური სერვისების მაღალი მოხმარება, განსაკუთრებით გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების, რომელიც 2016 წელს 2012-თან შედარებით 301%-ით არის მომატებული.

ჰოსპიტალური სერვისების მაღალი უტილიზაციის შესაბამისად, ჭანდაცვის ეროვნული ანგარიშების მიხედვით, ჭანდაცვაზე მთლიანი დანახარტი სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებებს შორის 2012 წლიდან 2015 წლამდე შემდეგი დინამიკით იცვლება:

- ჭანდაცვის მთლიან დანახარტში სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარტი გაზრდილია 20%-დან 31%-მდე,
- ხოლო ამბულატორიულ მომსახურებაზე შემცირებულია 19%-დან 17%-მდე.

ზემოთხსენებული მიუთითებს ჭანდაცვის სისტემაში ისეთი მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც პირველადი ჭანდაცვის სერვისების გამოყენებას შეუწყობს ხელს, შესაძლებელს გახდის პრევენციურებადი ძვირადღირებული სერვისების მოხმარების თავიდან აცილებას და შესაბამისად ჭანდაცვის დანახარტებში ჰოსპიტალურ მომსახურებასა და უკდ-ზე დანახარტებს მეტად რაციონალურს გახდის.

ფასების დინამიკა და მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება

ბარომეტრის მეცხრე ტალღაში გამოკითხულ სპეციალისტთა 66.7% მიიჩნევს, რომ ბოლო 6 თვეში მოსახლეობის ფინანსური დაცულობა გაუარესდა. რესპონდენტთა:

- 69% მიიჩნევს, რომ ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურება გაძვირდა
- 76.2% მიიჩნევს, რომ ამ პერიოდში მედიკამენტებზე ფასები გაიზარდა
- 50% თვლის, რომ ბოლო 6 თვის პერიოდში ჯიბიდან გადახდებმა იმატა

სპეციალისტთა შეფასებები თანხვედრაშია საქსტატის ოფიციალურ მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც 2017 წლის პირველ ნახევარში

- ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა **15.2%-ით**
- სამედიცინო პროდუქცია (მედიკამენტები) გაძვირდა **17.2%-ით**

მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებაზე მიუთითებს ასევე მსოფლიო ბანკის ანგარიშში მოყვანილი შედეგები მოსახლეობაში კატასტროფული დანახარჯების სიხშირესთან დაკავშირებით, რომლებიც შინამეურნეობების კვლევის ანალიზს ეფუძნება. ანგარიშის მიხედვით 2012 წლიდან 2015 წლამდე **6%-ით** არის მომატებული იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯი დაუდგათ (ანუ შინამეურნეობების მთლიან დანახარჯში ჯანდაცვაზე დანახარჯმა 10% შეადგინა).

სპეციალისტთა სამომავლო მოლოდინები

- რესპონდენტებში სამომავლო მოლოდინები ძირითადად კვლავ პესიმისტურია, თუმცა ბარომეტრის მერვე ტალღასთან შედარებით რამდენადმე შემცირებულია უარყოფითი განწყობების მქონე სპეციალისტთა რაოდენობა
- ერთადერთი ინდიკატორი, სადაც სპეციალისტთა მოლოდინები უარესდება ჭიბიდან გადახდებია:
 - გამოკითხულთა 61.9% მომდევნო 6 თვის განმავლობაში ჭიბიდან გადახდების მატებას მოელოა.



**კვლევის შედეგები
დეტალურად**

ბოლო 6 თვის მანძილზე ჭანდაცვის სფეროს წარმატება

2017 წლის პირველი 6 თვის მანძილზე განხორციელებულ ცვლილებებში ბარომეტრის რესპონდენტები ჭანდაცვის სფეროს წარმატებებად შემდეგ მოვლენებს გამოყოფენ:

1

ცვლილებები საყოველთაო ჭანდაცვის პროგრამის დიზაინში:

- ბენეფიციარებისა და სარგებლის პაკეტის დიფერენცირება
- სარგებლის პაკეტში უმწეო მოსახლეობისთვის ქრონიკული დაავადებების სამართავი მედიკამენტების შეტანა

2

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობა

3

თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გაძლიერება / გააქტიურება

- აღსანიშნავია, რომ საყოველთაო ჭანდაცვის პროგრამის დიზაინი, ბარომეტრის VIII ტალღაში დასახელებული იყო როგორც ჭანდაცვის სფეროს გამოწვევა, IX ტალღაში კი წარმატებების ნუსხის სათავეშია მოხსენიებული.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მედიკამენტების დაფინანსების მნიშვნელობა

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მედიკამენტების სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მედიკამენტებზე დანახარჯები მოსახლეობაში მნიშვნელოვან ფინანსური სირთულეებთან ასოცირდება
 - ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში ჯიბიდან გადახდების წილი 57.3%-ია (NHA, 2015)
 - ჯიბიდან გადახდების 2/3-ს კი სამკურნალო საშუალებებზე დახარჯული თანხები შეადგენს (HUES, 2014)
 - შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთაც ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯი დაუდგათ 2012 წლიდან 2015 წლამდე 28%-დან 34%-მდეა მომატებული. კატასტროფული დანახარჯების ზრდას ამ პერიოდში მედიკამენტებზე დახარჯული თანხების ზრდას უკავშირებენ (მსოფლიო ბანკი, 2017)


❖ საგარეოდ, რომ 2017 წლის აპრილში გატარებული ცვლილებები უმწეო მოსახლეობას ჯანდაცვის დანახარჯების ტვირთს შეუმსუბუქებს



**სამედიცინო მომსახურების და
მედიკამენტების ფასები**


**მომსახურების ფინანსური
დაცულობის შეფასება**

ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ცვლილების შეფასება



- წინა ტალღასთან შედარებით შემცირებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირებას აღნიშნავენ
- თუმცა ბარომეტრის IX ტალღაში ყოველი სამი რესპონდენტიდან ორი კვლავ აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ფასები გაძვირდა
- სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირებას რესპონდენტთა ნახევარზე მეტი მეხუთე ტალღიდან მოყოლებული აღნიშნავს

ბოლო 6 თვის მანძილზე მედიკამენტებზე ფასების ცვლილების შეფასება



- მიუხედავად იმისა, რომ მერვე ტალღასთან შედარებით მედიკამენტებზე ფასების გაძვირებას 20%-ით ნაკლები რესპონდენტი აღნიშნავს, კვლავ მაღალია იმ რესპონდენტთა რაოდენობა (76.2%), რომლებიც მიიჩნევენ რომ ბოლო 6 თვის მანძილზე მედიკამენტები გაძვირდა

როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით რესპონდენტთა მოსაზრებები საქ.სტატის ოფიციალურ მონაცემებს?

- ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები ჯანდაცვაზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით თანხვედრაშია, საქსტატის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც:


2017 წლის ივნისის მონაცემებით, წლის პირველ ნახევარში ჯანდაცვაზე ფასები **↑ 4.3%-ით** არის მომატებული

ფასების ცვლილება დაფიქსირდა შემდეგ მომსახურებასა და პროდუქციაზე:

- ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა **↑ 5.2%-ით**
- საავადმყოფოების მომსახურება გაძვირდა **↑ 0.5%-ით**
- სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა გაძვირდა **↑ 7.2%-ით**


წყარო: საქ.სტატი

ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჯიბიდან ფორმალური და/ან არაფორმალური გადასახდელების შეფასება



- მერვე ტალღასთან შედარებით არ გაზარდია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ჯანდაცვის დაწესებულებებში ჯიბიდან გადახდების მატებას აღნიშნავენ.

ბოლო 6 თვის მანძილზე მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება




- კვლავ მაღალია (66.7%) იმ სპეციალისტთა წილი, რომლებიც მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებაზე მიუთითებენ.

როგორ დარდება ბარომეტრის რესპონდენტთა მოსახრებები მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სახელმწიფო დანახარჯების მიმოხილვის დოკუმენტში ასახულ შედეგებს?

2017 წლის ივნისში მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სახელმწიფო დანახარჯების მიმოხილვის დოკუმენტში მითითებულია, რომ

- 2012 წლიდან 2015 წლამდე შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთაც ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯი დაუდგათ 6%-ით გაიზარდა



წყარო: მსოფლიო ბანკი, Public Expenditure Review, 2017

- ზემოაღნიშნული მონაცემები მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებაზე მიუთითებს
- აღსანიშნავია, რომ ბარომეტრის რესპონდენტთა უმრავლესობა მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებას მეხუთე ტალღიდან მოყოლებული აღნიშნავს - 2015 წლის სექტემბრიდან, როდესაც კვლევის ანგარიში გამოქვეყნდა
- კატასტროფული დანახარჯების სიხშირის ზრდა შესაძლოა უკავშირდებოდეს საყოველთაო ჯანდაცვის ამოქმედების შედეგად მოსახლეობაში სამედიცინო მომსახურების უტილიზაციის ზრდას



**სპეციალისტთა შეფასებები ჯანდაცვის
სფეროში არსებულ გამოწვევებზე**

ჭანდაცვის სფეროს გამოწვევა / პრობლემა, რომელს მთავრობამ უნდა მოაგვაროს

- ხარჯთ-ეფექტურობის მიღწევას ჭანდაცვის დაფინანსებაში და სახელმწიფო ხარჯების მართვა/ადმინისტრირების ხარვეზებს, როგორც მნიშვნელოვან გამოწვევებს ბარომეტრის რესპონდენტები V ტალღიდან მოყოლებული ასახელებენ.
- IX ტალღის რესპონდენტთა მოსაზრებით, ჭანდაცვის სფეროში არსებული გამოწვევების ნუსხა შემდეგია:


- ხარჯთ-ეფექტურობა ჭანდაცვის დაფინანსებაში
- სახელმწიფო ხარჯების მართვა და ადმინისტრირება
- პირველადი ჭანდაცვა
- სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ფასების ზრდა
- სამედიცინო განათლების სისტემა
- სამედიცინო მომსახურების ხარისხი
- ჭანდაცვის ვერტიკალური პროგრამების დაფინანსების სიმწირე

როგორ ეხმარება მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მოსაზრებები ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებებს დარგში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით

ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები დარგში არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებთან დაკავშირებით თანხვედრაშია მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მოსაზრებებთან და ჭანდაცვის სისტემის წინაშე დგას შემდეგი სირთულეები:

- სახელმწიფო შემსყიდველის (სოც. მომსახურების სააგენტოს) ადმინისტრაციული შესაძლებლობების სიმცირე ეფექტურად მართოს სახელმწიფო დანახარჯები. რომელსაც ასევე, ართულებს დაფინანსების მექანიზმების კომპლექსურობა საავადმყოფოებთან სხვადასხვა ტიპის ტარიფებისა და თანა-გადახდების წესის ვარიანტებით სხვადასხვა ჰოსპიტალური მომსახურებისთვის
- ჭანდაცვის სერვისების მიწოდებაში არსებული ხარვეზები, კერძოდ პირველადი ჭანდაცვის სისტემის ფრაგმენტაციის და მიმწოდებლებში მოტივაციების არარსებობის გამო ჰოსპიტალური სერვისების ხშირი გამოყენების თავიდან არიდების სისუსტე, რომლებიც გაცილებით ძვირადღირებულია ჰქდ სერვისებთან შედარებით.


ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია - ამბულატორიული სერვისები (1)



- ბარომეტრის რესპონდენტების მიერ პირველადი ჯანდაცვის როგორც ჯანდაცვის სფეროს ერთერთი გამოწვევის აღიარებას ეხმიანება ამბულატორიული სერვისების უტილიზაციის არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელი (3.5 ერთ სულ მოსახლეზე 2016 წლის მონაცემებით)
- ამბულატორიული სერვისების მოხმარება 2016 წელს 2012-თან შედარებით 52.2%-ით არის მომატებული, თუმცა თუ არ გავითვალისწინებთ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქსრთველოს მოსახლეობის 770,000 ადამიანით შემცირებას, გამოვა რომ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 10%-ით არის მომატებული

ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია - სტაციონარული სერვისები (2)

ჰოსპიტალური სერვისების უტილიზაცია (2005-2016)



- 52%-ით არის ასევე მომატებული გეგმიური ქირურგიული ოპერაციების უტილიზაციის მაჩვენებელი 2016 წელს 2012-თან შედარებით
- ამავე პერიოდში გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების მოხმარების მაჩვენებელი კი 301%-ით არის მომატებული
- აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან 2016 წლამდე ჰოსპიტალური სერვისების გამოყენების სწრაფი ზრდა არ ფიქსირდება
- 2014 წელს მოსახლეობის აღწერის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, აღნიშნული გავლენას ახდენს ჯანდაცვის სერვისების ფარდობითი უტილიზაციის მაჩვენებლებზე, 2015-2016 წლებში მაჩვენებლების სწრაფი ზრდა სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება.

ძვირადღირებული ჰოსპიტალური სერვისების მზარდი უტილიზაცია, ხოლო პირველადი ჯანდაცვის სერვისების მოხმარების არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებლების ფონზე ეხმიანება ბარომეტრის რესპონდენტების მიერ დასახელებულ პირველ გამოწვევას - ხარჯთ-ეფექტურობის მიღწევას ჯანდაცვის დაფინანსებაში.

წყარო: დკსჯეც, დაავადებათა სტატისტიკური წელიწადური


*შენიშვნა: გრაფიკზე წყვეტილი ხაზებით ნაჩვენებია მაჩვენებლები, რომლებიც არ ითვალისწინებს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად შემცირებული მოსახლეობის რაოდენობას, და ეფუძნება 2014 წელს აღწერამდე არსებული მოსახლეობის რაოდენობას.

ძვირადღირებული სამედიცინო სერვისების უტილიზაციის კავშირი ჯანდაცვის დანახარჯების დინამიკაზე

ჰოსპიტალური სერვისების მაღალი უტილიზაციის შესაბამისად, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მიხედვით, ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებებს შორის 2012 წლიდან 2015 წლამდე შემდეგი დინამიკით იცვლება:

- ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარჯი გაზრდილია 11%-ით,
- ხოლო ამბულატორიულ მომსახურებაზე შემცირებულია 2%-ით.


სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების სახეობებზე დანახარჯების ცვლილების დინამიკა ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში (2012-2015წწ)




წყარო: ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები (2012-2015წწ)

სტაციონარულ და ამბულატორიულ დანახარჯებში სახელმწიფო და კერძო სექტორის წილი

დანახარჯები ამბულატორიულ მომსახურებაზე
(2015წ)



დანახარჯები სტაციონარულ მომსახურებაზე
(2015წ)




წყარო: ჭანდაცვის ეროვნული ანგარიშები (2012-2015წწ)

ჭანდაცვის ეროვნული ანგარიშების მიხედვით:

- სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარჯში სახელმწიფოს წილი 70.6%-ს შეადგენს, ხოლო კერძო სექტორის მონაწილეობა დანახარჯის ფორმირებაში 29.4%-ია
- მაშინ როდესაც ამბულატორიულ მომსახურებაზე დანახარჯში კერძო სექტორის წილია წამყვანი (59.3%)

ჯანდაცვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები



- 2017 წლის პირველი 2 კვარტლის მანძილზე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით ირკვევა, რომ
 - ჯანდაცვის პროგრამებზე დაიხარჯა 2%-ით (9.3 მლნ ლარით) ნაკლები დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით,
 - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე კი 3.2 მლნ ლარით ნაკლები
- 2014 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როდესაც ჯანდაცვის ბიუჯეტის შესრულება მიახლოებულია წლის დასაწყისში დამტკიცებულ გეგმას

- ბიუჯეტის ხარჯვის მსგავსი პრაქტიკა შესაძლოა უკავშირდებოდეს,
 - ბიუჯეტის დაგეგმვაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მართვის 4 წლის მანძილზე დაგროვებულ გამოცდილებას და ხარჯების ადეკვატურად გათვლას. ან,
 - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლის ახალი მექანიზმების შემოღებას.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები და 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები
პროგრამა 35 03; 35 03 01




სამედიცინო განათლების სისტემა

დიპლომადელი განათლების სისტემა ეჭივებისთვის




- დიპლომადელი განათლების სისტემის სისუსტეზე ბარომეტრის რესპონდენტები პირველი ტალღიდან მოყოლებული მიუთითებენ.

სამედიცინო განათლების სისტემა ექთნებისთვის



- ბარომეტრის რესპონდენტთა უმრავლესობა (64.3%) აღნიშნავს, რომ სამედიცინო განათლების სისტემა ექთნებისთვის საერთოდ არ არის ადეკვატური

უწყვეტი განათლების სისტემა ექიმებისთვის




- პირველი ტალღიდან მოყოლებული ქარბობს იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემას არაადეკვატურად აფასებენ




სამომავლო მოლოდინები

მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუმჯობესების მოლოდინი




- ბარომეტრის მეცხრე ტალღაში შემცირებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებას მოელოდნენ

სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ცვლილების მოლოდინი




- მერვე ტალღასთან შედარებით ოდნავ შემცირებულია (7%-ით) იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც სამომავლოდ სამედიცინო მომსახურების გაძვირებას ელიან

მედიკამენტების ფასების გაიაფების მოლოდინი



- ბარომეტრის IX ტალღაში 13%-ით იმატა იმ რესპონდენტთა რაოდენობამ, რომლებიც მედიკამენტების გაიაფებას ელიან,
- თუმცა სამომავლოდ მედიკამენტების გაძვირებას ყოველი მეორე რესპონდენტი მოელის.

ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჭიბიდან გადახდილი ფორმალური და/ ან არაფორმალური გადასახდელების რაოდენობის ცვლილების მეთოდინი



● ბარომეტრის IX ტალღაში გამოკითხული ყოველი 10 რესპონდენტიდან 7 ჭიბიდან გადახდების მატებას მოელოდა



დამატებითი ინფორმაცია კვლევის შესახებ

მოკლე ცნობები ბარომეტრის რესპონდენტების შესახებ

- ბარომეტრის მეცხე ტალღა წარმოდგენილია მონაწილეთა ფართო სპექტრით:
 - სამთავრობო სტრუქტურები
 - სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები
 - საერთაშორისო ორგანიზაციები
 - პროფესიული ასოციაციები და სადაზღვევო ორგანიზაციები
 - კვლევითი საექსპერტო ჯგუფები
- საკმარისი ექსპერტული და ასაკობრივი ცენზით და გენდერული განაწილებით:
 - მონაწილეთა 85%-ს აქვს ჭანდაცვის სფეროში მუშაობის 10 წლიანი და მეტი გამოცდილება
 - მონაწილეთა 81%-ის ასაკი 40 წელზე მეტია
 - რესპონდენტთა 67% ქალბატონია

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

ტალღა IX

www.curatiofoundation.org

დასასრული

საავტორო უფლებები დაცულია.

შედეგების ციტირება ნებადართულია წინასწარი თანხმობის
გარეშე, მაგრამ აუცილებლად წყაროს მითითებით.



კურაციო
საერთაშორისო
ფონდი